

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება გამოიწვია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციასა და სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის დებულებებმა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ო” ქვეპუნქტის არსებული რედაქციით, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება “საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ატესტაცია და აკრედიტაცია; კანონმდებლობა აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდებებისა და ხარისხების შესახებ;”. წარმოდგენილი ფორმულირება ძალიან ავიწროებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ატესტაციისა და აკრედიტაციის განმახორციელებელ პირთა წრეს. ატესტაცია და აკრედიტაცია არ წარმოადგენს იმ კომპეტენციებს, რომელთა ტექნიკურად უზრუნველყოფა და ორგანიზება სავალდებულოდ მხოლოდ უშუალოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას უნდა წარმოადგენდნენ.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.“ წარმოდგენილი რედაქციით სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ფინანსურად უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდა განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით ხორციელდება იგი. რამდენადაც სკოლამდელი აღზრდა შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ, ისევე როგორც არაფორმალურად, კონკრეტული დაწესებულების დასწრების გარეშე, მიზანშეწონილია, რომ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსების ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული და განსაზღვრული იყოს საქართველოს კანონმდებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის კომპეტენციის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული გამგებლობის სფეროდან გამოტანა და ასეთად აკადემიური ხარისხებისა და საგანმანათლებლო

დაწესებულებების აკრედიტაციის შესახებ კანონმდებლობის განსაზღვრა. მეორე არსებით მიზანს წარმოადგენილი კანონპროექტისა წარმოადგენს სახელმწიფოს სკოლამდელი აღზრდის ვალდებულების კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდვა, რათა სახელმწიფო არ იყოს ვალდებული ფულადი ან არაფულადი სახით უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდა ოჯახში, არაფორმალურ გარემოში, სადაც ბავშვზე ზრუნვა ხორციელდება ბავშვის უშუალო ბიოლოგიური მშობლის მიერ.

კანონპროექტი იმავდროულად მიზნად ისახავს რამდენიმე ტერმინოლოგიურ ცვლილებას: კერძოდ ცნება „უმაღლესი სასწავლებელი“ იცვლება ცნებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“, ხოლო ცნება „საშუალო განათლება“ - „სრული ზოგადი განათლება“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი მოიცავს ცვლილებას საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციებს მიკუთვნებულ საკითხებში და ცვლილებას სკოლამდელი აღზრდის მიმართ სახელმწიფოს ვალდებულების განმარტებაში. ცვლილებით აგრეთვე გათვალისწინებულია ორი ტერმინოლოგიური ცვლილება, რომელიც განათლების სფეროში არსებულ კანონმდებლობაში - „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს კონსტიტუციაში მსგავსი ცნებების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ იწვევს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილზე ცვლილებებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი უშუალო ფინანსურ შედეგებს კონკრეტულ პირებზე არ იწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით რაიმე გადასახადის ან მოსაკრებლის გადახდა გათვალისწინებული არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი